

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 25

ქ.თბილისი

2021 წლის 9 თებერვალი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 9 თებერვალს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლაშა თავართქილაძე, ლევან ჩიკვაძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ლაშა მაჭავარიანი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ბ. ზიბზიბაძის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის პ.ჭიქაბერიძის წითელი ბარათის ოქმი და ვიდეომასალა, ამა წლის 6 თებერვალს, პირველი ლიგის მატჩზე, ჭიათურის „იმერეთი“-სა და წყალტუბოს „დინოზავრი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. წყალტუბოს „დინოზავრი“-ს მორაგბე ვასილ უბილავა - კონფლიქტის პროვოცირება,
2. ჭიათურის „იმერეთი“-ს მორაგბე დავით ჯაფარიძე - კონფლიქტის პროვოცირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 პუნქტით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. წყალტუბოს „დინოზავრი“-ს მორაგბე ვასილ უბილავა დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. ჭიათურის „იმერეთი“-ს მორაგბე დავით ჯაფარიძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/